

1-19 სტრ., 1r

ქსნის ერისთავთათჳს

ერისთავნი არა იყუნენ მებატონედ თჳსთა საერისთავოთა შა ად იყუნენ მოხელედ მჰსგავსად გუბერნატორთა დრომდე შეიწროებისა სპარსთა მიერ მეფეთა საქართუჭლოდსათა ერისთავნი იქნებოდნან განწესებულ მეფეთაგან და ნებითავე მათითა იქნებოდნან ცვალებულ ხ შემდგომ მიზეზითა მეფეთ უძღურებისათა ადგილი ესე მიითჳსეს სამფლობელოდ თუ ვითარნი ერისთავთაგან ქმნილ არიან დროსა მეფის სიმეონ პირუჭლისასა და ვახტანგ მეხუთისასა ავაზაკობანი და ბოროტმოქმედებანი ორგულებანი მეფეთანი მოსრვა დიდისა რაოდენობისა აზნაურთასა და მითჳსება ამათა ქონებათა (რაფცა სდ ცნობილ არს საქართუჭლოს ისტორიით) მე ამას შესამოკლვე ზლად მოთხორობისა დავიდუმებ და აღვჰსწერ უმახლობელესთა მათთა ბოროტის მოქმედებათა შანშემან ერისთავმან და ძმამან მისმან იესე მამამან დავით ერისთავმან წარჰგზავნეს კაცი დალისტნად მოსაწოდებლად მუნით მხედრობათა რომლისა გამოცა შეჰკრბა რავდესიმე ათასი ლეკი მოვიდენ კახეთს ალაოხრეს შილდა და სდ მცხოვრებნი მისნი ხარაჰსტუიწსე შემდგომ გარდმოვიდენ შინაგან კახეთს და დაჰსწუწს და ყოველივე აღილეს ხაშმი და მცხოვრებნი მისნი ტყუჴ ჰყუნეს ხ მუნით გარდმოვიდენ ახალგორს ქსნის ერისთავთა შანშეს და ძმათა მისთა დმი და დაუტევეს რა ტყუწნი და ყოველი ნაშოვარი თჳსი ახალგორს მოვიდენ წინამძღომელობითა შანშეს ერისთავისა და ძმისა მისისა იესესითა არაგვზედ

1-23 სტრ., 1v

და აღილეს რა ანანური მოჰსწყვიტეს დიდი რიცხჳ კაცთა და საკმაო რიცხჳ წარიტაცეს ტყუწდ ხ მათთან თავადნიცა და სხუანიცა ამასვე ერისთავთა შეაერთეს იროდის ბოროდ მოქმედება მოჰსწყვიტნეს რა მრავალი ყრმანი ხ შემდგომ ესოდენ მრავლითა ტყვითა და ნატაცებით უკმოიქცენ ახალგორად და მუნით იწყეს დაცემად ქართლსა და სომხეთსა ზედა ჰსცრცვიდიან ალაოხრებდიან და წარიტაცებდიან ტყუწთა სოფლეურად გარდა ამისსა იქმოდნან მრავალთა ავაზაკობათა და აღრევათა ერთასა რომელთაცა შემოკლებისათჳს დავიდუმებ იუწყ არა ესე შაჰნადირ განრისხებულმან მოითხოვა ხორასნად შანშე და იესე ერისთავნი სახლეულობით და ჰყრობილ ჰყუნა იგინი ხ ოდეს შაჰნადირ მიჰსცა სამეფო ქართლისა თეიმურაზ მეორეს და კახეთისა ძესა მისსა ირაკლი მეორეს მას დროს ხსენებულთა მეფეთა კაცთმოყვარებითა თჳსითა და ნათესაობითა ცოლისა იესე ერისთავისათა მოჰსდრიკეს თხოვითა შაჰნადირ თავისუფალ ჰყუწს იგინი ტყუწობისაგან და ჰყრობილებისაგან მოიყუანეს რა იგინი აქა თუმცა ესე იყო სამძიმო მეფეთათვისცა და ერისთავსცა ზემორეხსენებულთა მიზეზითა გამო მიუბოძეს კუალად თანამდებობა ერისთავისა შანშეს ერისთავს. შანშე ერისთავი არა დაჰსცხრებოდა ამასაცა დროსა ორგულებისაგან მეფეთასა მექონი მიწერ მოწერისა მეზობელთა ერთა თანა შემდგომ თანამდებობა ერისთავისა მიიღო დავით ერისთავმან და თუმცა ჰყვანდა მეფეთა თეიმურაზს და ირაკლის პატისა შა გვა ძმა და შვილი გარნა უჩუწნა დავით ერისთავმან მეფეთა რავდენმე გზის სახე ორგულებისა გარნა იგინი მიაგებდეს მას ნაცვლად ამისსა

მოწყალეობასა და მიტევებასა შემდგომ ჰსცნეს რა ერისთავთა რომე სპარსთა აქუსთ განზრახუა მო[...]ლუად საქართუწლოსა ზედა ერთი მათგანი სახელით ზურაბ

1-23 სტრ., 2r

ძმა გიორგი ყულლარაღასისა წარვიდა სპარსათადმი ერთობრივთა თანკმობითა ნათესავთა თვსთთა და მოვიდა რა განჯად წარმოჰგზავნიდა მუნით სასტიკთა მუ ქარათა სპარსნი ვიეთითამე შემთხუწვითა ვერ მოვიდენ საქართუწლოდ ხ~ ხსენებულ ზურაბ მოვიდა განჯას ეგრეთუწ გიორგი ყულლარაღასი ორგული მეფისა განმაგრდა ყასაბასა შ~ა წოდებულსა ნინელვიდედ გარნა შემდგომცა ამისსა მოილო იგინი მოწყალეობით და მიათხოვა ასული თვისი ხ~ ოდეს გიორგი ყულლარაღასი და ძენი დავით ერისთავისანი განიყუნენ მაშინ ყულლარაღასმან უორგულა რა მეფესა განამაგრნა ციხენი თვისნი დამყენებელმან მათ შ~ა ლეკის მხედრობათამან ჰსცნა რა ესე მეფემან ირაკლი წარგზავნა მას ზ~ა ძენი თვისნი მხედრობით რომელთა აღიღეს ციხენი მისნი და იგი გიორგი ყულლარაღასი შვილებითურთ მოიყუანეს ტფილისად იხილა მეფემან ირაკლი რომე ერისთავნი არა ჰსცხრებიან თვისთა ბოროტმოქმედებითა ქცევათაგან არღა ინება უკუწ შეშუწზა მათი გორს გიორგი ყულლარაღასს არღა მიჰსცა რა (უკუწ არცა მთასა არცა ბარსა შ~ა) ხ~ ძეთა დავით ერისთავისა და აღაბაბასათა მიუბოძა გვერდის ძირი და სხუანი რჩევით ქართლის სოფელნი ვითარცა საკუთარი წილი მათი ეგრეთუწ ყულლარაღასისა შემდგომ ძეთა დავით ერისთავისა და აღაბაბასათა მოუხდათ ესრეთი შუღლი რომე ეძიებდნენ მოკულასა ერთი ერთისასა ამას დროსა ოსმანთა მოიყუანნეს რა ლეკის მხედრობანი იწყეს დაცემად საქართუწლოსა ზედა იხილა რა ესე ერისთავთა ესრეთ ერთი ერთისანთა სასტიკ მეშუღლეთა ზავი ჰყუწს თვის შორის. მიხაილ ელიზბარ და მირმანოზ ერისთავნი აზ ნაურებით და მსახურებით თვისით გარდავიდენ ახალციხედ ჰსცნა რა ესე მეფემან ირაკლი უბრძანა როსტომს და შანშეს რათა მათ განლტოლვილნი

1-23 სტრ., 2v

ძმანი თვისნი დაერწმუნებინათ უვნებლობასა ზედა და უკმოეწოდებინათ გარნა მათ ნაცვლად აღსრულებისა ბრძანებისა განამტკიცეს ციხე წოდებული იკორთად განუყენეს მეფეს ოსნი ღვიდისის ხეობისანი იწყეს საუბარი ახალციხის ფაშასთანა აცნობებდენ რა მას თვისსა მდგომარეობასა და ჰსთხოვდენ მხედრობათა ამას დროს მეფის ძე იულონ იმყოფებოდა ქართლს შ~ა რო მელმანცა ბრძანებითა მშობლისა თვისისათა შეკრიბა მხედრობა მიუხდა მათ და აღილო რა იკორთა გამოიყუანნა როსტომ და შანშე და წარმოჰგზავნნა ტფილისად. აწ ესენი იყუნენ ქცევანი ერისთავთანი შემდგომ განლტოლვისა მათისა ახალციხედ მიხეილ და ელიზბარმან მოიყუანეს მხედრობანი ოსმალისა და ლეკისანი ერთსა დამესა აღაოხრეს სოფელი ხელთუბანი წარჰსტყუწნეს ორასამდე კაცი და ს~დ პირუტყვი წარიტაცეს შემდგომ მითვე მხედრობითა მოვიდენ სოფელს გრაკალს მოკლეს გივი ამილახვარი და მრთლად სოფელი იგი წარასტყუწნეს და წარვიდეს კვლად ახალციხედ შემდგომ მესამედ მოიყუანნეს ერისთავთა იგივე მხედრობანი რომელნიცა იყუნენ ვიდრე ორიათასი კაცი და მოადგენ სოფელს ყარაჯალს მას

დროსა მეფის ძენი იულონ და იოანე იმყოფებოდენ ქართლს და ჰსცნეს რა ესე მოვიდენ მათ ზედა ოთხასითა კაცითა დასაცუჭლად ხსენებულის სოფლისა ერისთავთა რ~ ჰსცნეს ესე განშორდენ ყარაღაჯს და შეიმ თხვივნენ ზედაველას ზედა სადა შეიბნეს და ბრძოლა განეგრძო სამსა ჟამსა რომელსაცა შ~ა მოიკლა და დაიკოდა რავდენიმე აზნაური ვითარ იგი თავადი ხერხე ულიძე ომან მდივანი და თავადი ლუარსაბ მაჩაბელი დაიკოდნენ და აზნაური დავით ყორღანოვი მოიკლა დასასრულ მეფის ძეთა ჰსძლიეს და შემუსრეს იგინი

1-15 სტრ., 3r

ესეოდენნი ორგულეზანი და აოხრეზანი არა ჰყოვეცნა მათ საკმაო ბრალეულეზად ესევეითართა მიზეზთა გამო მეფემან ირაკლი მიულო ერისთავთა ქონებანი რომელთაცა ჰფლობდენ ზემო რე აღწერილითა სახითა. ვერა რადთა მეცადინეობითა ამისა უმოკლესად ვერ აღვჰსწერენ გარემოეზანი ერისთავისანი მეფისაგან აქუსთ ნაბოძებუნი წერილები ქსნელთა და არაგველთა რომელთაცა შ~ა აძლევს თავმდებად ღმერთსა და აღუთქუამს რომე უკუნისამდე არღა უკუჭ მიეცემიან ქსნის ერისთავთა ქსანი და ლიახვი და არცა ღათუ ერთი მათთა სოფელთაგანი დაუბრუნდებათ მათ. ჰსწყევს მათ იგი წერილთა შ~ა უკუეთუ ვინმე მისთა შთამომავალთაგანი იქმნეს დამარ ღუჭველად ამისა, მით წყევითა ვ~ა ნოე ჰსწყევს ქამს. ერთი მათ წერილთაგანი აქუს მეფის ძეს იულონს და მეორე მეფის ძეს იოანეს. უკუეთუ შევიძლებ მოპოებასა პირისა მისისასა წარმოდგინებით. ნამდვილ არ იპოება და ამისთვის არ არის ცნობილი თუ ვისგან არის ესე წერილი.